ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №132

ქ. თბილისი 11 ივნისი 2012 წელი

ერთის მხრივ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი საკრებულოს თავმჯდომარის ბაკურ მგელაძის სახით და მეორეს მხრივ შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი" (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი საბარათე და ტალონური სისტემით მომსახურების ცენტრთან ურთიერთობის მენეჯერის ირინე ბარამიძის სახით (მინდობილობა დამოწმებული ნოტარიუსი ნ. გინტურის მიერ; რეესტრში რეგიტრაციის ნომერი 110595925, დამოწმების თრიღი 13,06,2011წ.) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად დებენ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში - "ხელშეკრულება") შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად ქართულ ენაზე. აქედან ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა მიმწოდებელს, ერთი-შემსყიდველს.

1.2 "ხელშეკრულების ღირებულება" - ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3 "დღე" , "კვირა", "თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 "შემსყიდველი" - ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 "მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 "საქონელი" - ხელშეკრულების მე-2 მუხით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ბენზინი (რეგულარი - არანაკლებ 93 ოქტანობის) 3500 (სამი ათას ხუთასი) ლიტრი; ევრო დიზელი (PPM 50-ზე ნაკლები) 900 (ცხრაასი) ლიტრი და დიზელი (L-62) 2000 (ორი ათასი) ლიტრი) შესყიდვა (შემდგომში „საქონელი") CPV- 09100000.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 13748 (ცამეტი ათას შვიდას ორმოცდარვა) ლარს.

3.2. 1 (ერთი) ლიტრი ბენზინი რეგულარი ფასია 2,12 (ორი და 12 თეთრი) ლარი.

3.3. 1 (ერთი) ლიტრი ევრო დიზელი (PPM 50-ზე ნაკლები) ფასია 2,32 (ორი და 32 თეთრი) ლარი.

3.4. 1 (ერთი) ლიტრი დიზელი (L-62) (PPM 50 და მეტი) ფასია 2,12 (ორი და 12 თეთრი) ლარი.

3.5. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, მათ შორის დ.ღ.გ.-ს აგრეთვე საწვავის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა თანმდევ ხარჯს, მათ შორის საწვავის შენახვის ხარჯებს ავტოგასამართი სადგურებიდან მის გაცემამდე.

4 ანგარიშწორების ფორმა და ვადები

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში.

4.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტისა და სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

4.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება შემსყიდველის მიერ საწვავის მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერიდან 1 (ერთი) კალენდარული დღის ვადაში.

5. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 საქონელი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.

5.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ პირს წარმოადგენს უფლებამოსილი წარმომადგენელი - საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის წამყვანი სპეციალისტი - თამუნა ნინიაშვილი (აღნიშნულზე პასუხისმგებლობა ეკისრება შემსყიდველს).

6. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

6.1 საწვავის მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს საწვავის ტალონების სისტემით, მიმწოდებლის ავტოგასამართი სადგურების ქსელის მეშვეობით. საწვავის ტალონების მიწოდება განხორციელდება მისამართზე: ქ. ბილისი, ვაჟა-ფშაველას 35.

6.2 მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის (როგორც წერილობითი ასევე ზეპირი) მოთხოვნიდან 2 (ორი) დღეში მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე დაუსვას ბარათზე მოთხოვნილი რაოდენობის საწვავი.

11/VI 13748

6.3 შემსყიდველისათვის ბარათზე დასმული საწვავის გამოყენება შესაძლებელი იქნება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისთანავე.

6.4 ავტოგასამართ სადგურზე ბარათის წარმოდგენისთანავე შემსყიდველი ან მისი წარმომადგენელი ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისი ტევადობების ან/და ჭურჭლის წარმოდგენა.

6.5 მიმწოდებელი უფლებამოსილია დროებით (არაუმეტეს 1,5 საათისა) შეაჩეროს საწვავის გაცემა ამა თუ იმ ავტოგასამართ სადგურზე საწვავის მიღების დროს და მიღების შემდეგ, რათა უზრუნველყოფილ იქნას პერსონალის და მომხმარებლების უსაფრთხოება და საწვავის სათანადო ხარისხი.

6.6 საწვავის ტალონების მიწოდება განხორციელდება 2012 წლის 12 ივნისის ჩათვლით.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

7.1.1. შეამოწმოს მიწოდებული საწვავის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

7.1.2. უარი თქვას უხარისხო საწვავის მიღებაზე.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1 წერილობით აცნობოს მიმწოდებელს საწვავის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;

7.2.2. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

7.2.3. დაიცვას ხელშეკრულების სხვა პირობები.

7..3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

7.3.1. მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საწვავის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.4.1. გააფრთხილოს შემსყიდველი საწვავის მიწოდების პროცესში შეფერხების შესახებ;

7.4.2. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს (კონტროლი) ინსპექტირება, რომლის მიზანია საქონლის შესაბამისობი დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

8.2 ხელშეკრულების 8.1 პუნქტით გათვალისწინებულ (კონტროლს) ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის შესაბამისი უფლებამოსილი წარმომადგენელი.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის, ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად მიუწოდებელი საწვავის ღირებულების 0,1%-ის ოდენობით;

9.2 გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, დროულად გადაუხდელი თანხის 0.1% ოდენობით. ასეთი უფლებით მიმწოდებელმა შეიძლება ისარგებლოს მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ და იგი არ წარმოადგენს მის ვალდებულებას.

9.3 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3 (სამი) პროცენტს, მხარე იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება, პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებებში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში საწვავის ყოველი პარტიის მიწოდებისას მისი ფასის განსაზღვრა მოხდება შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

C=Rx(P+Z)x(100%+18%)x D/1000, სადაც: **ა) C** = ნავთობპროდუქტის (საწვავის) ერთი ლიტრის ფასი (ლარში); **ბ) R** = წინადადების წარმოდგენის, ზეპირი ვაჭრობის ჩატარების ან ხელშეკრულების დადების შემდეგ შემსყიდველის მიერ საწვავის მიწოდების მოთხოვნის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებაში (ცვლადი კომპონენტი); **გ) P** = წინადადების წარმოდგენის, ზეპირი ვაჭრობის ჩატარების ან ხელშეკრულების დადების შემდეგ შემსყიდველის მიერ საწვავის მიწოდების მოთხოვნის დღიდან PLATTS EUROPEAN MARKETSCAN–ის FOB Med (Italy) ბირჟაზე დაფიქსირებული (გამოქვეყნებული) საწვავის ერთი მეტრული ტონის

წინა სამი მონაცემის საშუალო ფასი. (ცვლადი კომპონენტი);**დ) Z** = ტრანსპორტირებასთან, ლოჯისტიკასთან და შენახვასთანდაკავშირებული ხარჯები, ზედნადები ხარჯები, საწარმოს მოგება და აქციზი; **ე) 18%** = დღგ **ვ) D** = წინადადებით წარმოდგენილი ნავთობობპროდუქტის (საწვავის) სიმკვრივის მაჩვენებელი.

10.2 "C"–ს ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ "R"–ის ან/და „P"–ს ისეთი ცვლილების შემთხვევაში, რომელიც იწვევს "C"-ს სამი ან მეტი პროცენტული ოდენობით ცვლილებას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ (მხარეებს შორის ბოლო შეთანხმებული) ფასთან მიმართებაში. ამასთან, "C" უნდა იყოს, შემსყიდველის მიერ საწვავის მიწოდების მოთხოვნის

დღეს შესაბამისი მიმწოდებლის ქსელში (ასეთის არარსებობის შემთხვევაში, გაყიდვის ყველა სხვა ობიექტზე) იგივე პროდუქტის ერთ ლიტრ საწვავზე მინიმუმ სამი თეთრით (0,03 ლარით) ნაკლები.

10.3 მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისაგან საწვავის ყოველი მიწოდების თაობაზე მოთხოვნის (წერილობითი ან/და ზეპირი) მიღებისას, მხარეები ვალდებულნი არიან მიმწოდებლის მიერ საწვავის მოთხოვნის მიღების დღისათვის არსებული მონაცემების გამოყენებით მოახდინონ ფასების გადაანგარიშება, ამ მუხლით განსაზღვრული წესით და თუკი ადგილი ექნება 10.1 პუნქტში მითითებული ფასების შეცვლის საფუძველს, შემდგომში წერილობითი შეთანხმებით გააფორმონ ახალი ფასები. თუ ამ საფუძველს არ ექნება ადგილი, ძალაში დარჩება მხარეებს შორის ბოლო შეთანხმებული ფასი. ფასი ძალაში დარჩება გადაანგარიშებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადით. თუკი შემსყიდველი აღნიშნულ ვადაში არ მოახდენს საწვავის შესყიდვას, გადაანგარიშებული ფასები კარგავს ძალას და შემსყიდველი ვალდებული იქნება ხელახლა წარმოუდგინოს მიმწოდებელს საწვავის მოთხოვნის შესახებ განაცხადი.

10.3 ფასის შესაძლო ცვლილების შესახებ მეორე მხარის გაფრთხილება ან რაიმე სახის შეტყობინების გაგზავნა სავალდებულო არ არის.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით.

11.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

შემსყიდველი	მიმწოდებელი
დმანისის მუნიციპალიტეტი მის: ქ. დმანისი, წმინდა ნინოს ქ. №41 საიდენტიფიკაციო კოდი: 228928391 სს „ლიბერთი ბანკი“ დმანისის ფილიალი(425) ბანკის კოდი:LBRTGE22 ანგარიშის ნომერი: GE75LB0120150345333000 ტელ: 0 (360) 22 11 53	შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“ მის.: ქ.ბურძგლას ქ.№56 საიდენტიფიკაცო კოდი:202352514 საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკის“ ცენტრალური ფილიალი ბანკის კოდი:BAGAGE22 ანგარიშის ნომერი: GE02BG0000000233446600 ტელ.: 49 97 57

საკრებულოს თავმჯდომარე

ბ. მგელაძე

საბარათე და ტალონური სისტემით მომსახურების ცენტრთან ურთიერთობის მენეჯერი

ი. ბარამიძე